ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№19 (53) ოქტომბერი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საკრებულო მუშაობას შეუდგა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად 2006 წლის 2 ნოემბერს შედგა ცაგერის რაიონის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა.

სხდომაზე ცნობილ იქნა ომარ ჭაბუკიანის, გიორგი კვირკაშვილის, მარინე ბურჯალიანის, გიორგი გვიშიანის, მარინე სვანიძის, გია ლიპარტელიანის, ზურაბ ხეცურიანის, თამარ დავითულიანის, თამაზ ქარსელაძის, მაკა ბენდელიანის, თამილა გაბიძაშვილის, თენგიზ ბურჯალიანის, ოლეგ გიორგობიანის, ბონდო ყურაშვილის, ბეჟან ჯინჭარაძის, თამაზ თვარაძის, გოჩა გურგუჩიანის, ბადრი სილაგაძის, როსტომ ბრეგვაძის, ოლეგ მიქაძის, ონისე უგრეხელიძის, მამუკა მამარდაშვილის, გია ჩარკვიანის, ავთანდილ კოპალიანის, კარლო კოპალიანის, ბეჟან ღურჭუმალიძის უფლებამოსილება.

საკრებულოს სხდომამ იმუშავა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
3. საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ომარ ჭაბუკიანი, თავმჯდომარის მოადგილედ ზურაბ ხეცურიანი. ფრაქცია „უმრავლესობის" თავმჯდომარედ გიორგი გვიშიანი, ფრაქციისა „მაჟორიტარი"—ოლეგ გიორგობიანი.

ამით საკრებულოს პირველმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

რეკონსტრუირებული სკოლა:
აქ ისეთი დადებითი მუხტია და აურა...

ცნობისათვის: გასული საუკუნის 80-იანი წლები იდგა. იმხანად რაიონის განათლების განყოფილების გამგე ბატონი დავით კოპალიანი გახლდათ. მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით განათლების სამინისტროს მიერ ქვედა ცაგერში ტიპური ბაგა-ბაღის მშენებლობა ჩაისვა.

მალე მშენებლობაც დაიწყო და ინტენსიურად წარიმართა. აშენდა ბაგა-ბაღი. სოფელმა დიდი მადლიერება გამოხატა ამ საშვილიშვილო სიკეთის გამო.

და აშენებდა სოფლის ცენტრს სკოლამდელი აღზრდის ეს დაწესებულება, სადაც თაობები აღიზარდა და იზრდება დღესაც.

შემდეგ ავადსახსენებელი წლები ჩამოდგა და როგორც საზოგადოდ ხდებოდა, ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღიც გაიძარცვა, განადგურდა, თითქმის მარტოღა კედლები და სახურავი დარჩა. მხოლოდ რამდენიმე ოთახი გადაურჩა უკუღმართ ხელს, სადაც ბაღი განაგრძობდა მუშაობას და აფხაზეთიდან დევნილი რამდენიმე ოჯახი სახლობდა.

***

ამ რამდენიმე წლის წინ ქვედა ცაგერის არასრული სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა. არატიპიური სასკოლო შენობის ბაზა კი ვერანაირად ვერ აკმაყოფილებად გაზრდილ მოთხოვნებს, გადაწყდა ბაგა-ბაღის შენობის რეკონსტრუქცია და ამჯერად ბაღთან ერთად სკოლის იქ განთავსება. სამუშაოები წლეულს დაიწყო, გაზაფხულზე. მშენებლებთან ერთად საქმეში_ჩაერთო სკოლის კოლექტივი, სოფელი, რათა ახალ სასწავლო წელს სკოლა განახლებულ, კეთილმოწყობილ შენობაში შესულიყო.

***

შემოდგომის დღეა, ოქროსფერი, მზიანი და თბილი. ქვედა ცაგერის სკოლას სტუმრის სტატუსით ვეწვევი. ჭიშკრიდანვე ვგრძნობ წესრიგს, სიახლესა და სილამაზეს.

შევდივარ სკოლის შენობაში. ჰოლიდან დაწყებული აქ საოცარი სილამაზე და ფერებია, ვათვალიერებ გარემონტებულ მეორე სართულს, ახალ ქათქათა კაბინეტებს, საკლასო ოთახებს. ბავშვები ჟრიამულით მიმორბიან კაბინეტიდან კაბინეტში. თითოეული კაბინეტი შესაბამის ინტერიერითა და აქსესუარებითაა აღჭურვილი. გრძელი დერეფნის ინტერიერს კლასიკოსთა პორტრეტები ამშვე-

გვ.2

რთველი – 2006

წლევანდელმა რთველმა ლეჩხუმში ჩაიარა, ყურძნის ჩაბარების პრობლემა, რომელიც ერთ-ერთი მთავარია აქაური გლეხისათვის ფირმა „ხარებამ" გადაჭრა (ხელმძღვანელი ვახტანგ ხარებავა).

გაღმა და გამოღმა ხეობებში მათ დაახლოებით 40 ტონა ოჯალეში ჩაიბარეს (ღირებულებით _2 ლარი კილოგრამი).

აღნიშნული ფირმა 3 წელია ამ საქმიანობას ეწევა ჩვენს რაიონში ფირმა სოფ. ოყურეშში „უსახელაურის" მოშენებაზე მუშაობს. იქ მათ პატარა ტაძარი და ადმინისტრაციული შენობაც ააშენეს, მათი საქმიანობა ადგილზე მუშახელის დასაქმებასაც გამოიწვევს, რაც, ვფიქრობ, რაიონისათვის იქნება სასარგებლო.

„ხარება" თავის საქმიანობას ლეჩხუმში მომავალ წლებშიც განაგრძობს, რისთვისაც ხალხის სასარგებლოდ მას მმართველი პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერაც არ აკლიათ.

ჯანსუღ ჩარკვიანი 75 წლისაა



ცნობილ ქართველ პოეტს, ჩვენს თანამემამულეს ჯანსუღ ჩარკვიანს 75 წელი შეუსრულდა. სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, მუზის არდაცხრომას, პოეტის „მეუღლე სიტყვას" და მგზნებარე სტრიქონებს კვლავაც გაეხარებინოს ქართველი მკითხველი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მშობლიური ლეჩხუმის სახელით.

გთავაზობთ მის ახალ ლექსს „შენ გეუბნები, ქართველო!"

■ ■ ■

მივყვები, შილიკს მივყვები,
მაღლე ნამებსაც დავითვლი,
მე მახსნდება სიტყვები,
გურამიშვილის,—დავითის—
„შევხედე, გაღმა ლეწავდნენ,
მათრახის ცემით კალოსა,"
მეც დავუმატებ ჩემს სიტყვებს
დავითის სამლოცაოსა...
—ეჰეი, საყოდავებო,
ნუ ეძებთ სამოწყალოსა
ზევით, ზენაარს გახედეთ,
ნუ ხედავთ, მხოლოდ წყაროსა,
ეგ მამა-პაპის ვენახი,
ვინ უნდა შეგინამლოსა?
საცა შედიხარ, იქიდან
დროზე მოასწარ გამოსვლოა.
შენს მოძმეს ისე მიხედე—
მტერმა ვერ გაიხაროსა,
ვერარა,—უშენებელი,
ვერც ღმერთმა დაიფაროსა,
შენი სანერი ეტრატი,
ანდე ერთადერთს,—კალმოსანს.
მეზობელს გაუფრთხილდი და
სახლში ნუ შექმნი ქაოსსა,
მადლითცხებული გერჩივნოს,
ოქროსანსა და ქარვოსანს.
შენს მეტმა ნუთისოფელი,
ვინ უნდა გაგიქარვოსა,—
ახლოა საიქიომდე,
მიხედე საქაოსა.

რეპონსტრუირებული სკოლა: აქ ისეთი დადებითი მუხტია და აura...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ნებს. ერთი სიტყვით, აქ მართლაც დადებითი მუხტია და აura.

სამასწავლებლოდან გემოვნებით გაწყობილ ოთახში შევდივართ, ეს დირექტორის კაბინეტია.

გულახდილი საუბარიც აეწყო და მეც არა ერთი კითხვა მიჩნდება. მაინტერესებს რამდენად არის განათლების რეფორმაში ინტეგრირებული ქვედა ცაგერის სკოლა, როგორია აქაურ პედაგოგთა ხედვა და პოზიცია, რამდენად აკმაყოფილებთ ახალმოსახლეობა, შეუქმნათ თუ არა განახლებულმა სკოლამ კომფორტი, არს გეგმავენ სამომავლოდ, რა ეამაყებათ, რა სტკივათ, რა პრობლემები აქვთ, რას მიიჩნევენ პრიორიტეტებად მათი მოგვარებისთვის...

მოვუსმინოთ ქვედა ცაგერის სკოლის დირექტორს ნუნუ კოპალიანს:

განათლების სისტემაში მიმდინარე სისტემური რეფორმები განაპირობებს ჩვენი სახელმწიფოს მომავალ სიძლიერეს. იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ელობალურ ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, აუცილებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის ზრუნვა.

დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ ჩვენი პროფესიული ცოდნა თანამედროვე და ახალი ინფორმაციით იყოს გამდიდრებული.

რეფორმა რომ აუცილებელი იყო განათლების სისტემაში, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ხედვა რეფორმის მიმართ არაერთგვაროვანია. ვფიქრობ, უკიდურესმა სკეპტიკოსებმაც კი, რომლებიც უარყოფითად აფასებდნენ რეფორმის მნიშვნელობას, აზრი შეიცვალეს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რეფორმამ სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახადა. სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა თუ მშობელთა აქტიურმა ჩართვამ, მათი შეხედულებების, პოზიციის გამიარებამ, მეურვეობის განცდამ, სხვადასხვა პროექტის შემოთავაზებამ განათლებს სამინისტროს მიერ, სკოლის ცხოვრება შეცვალა და უფრო შემოქმედებითი ინტერესი გააჩინა.

სკოლაში სამეურვეო საბჭოს არსებობა ნამდვილად სწორი იდეაა, მაგრამ სწორადვე წარმართვა სპეციალურ მომზადებას საჭიროებს.

საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. მე პირადად პოზიტიურად ვაფასებ ეროვნული გამოცდების შემოთავაზებულ მოდელს და მხოლოდ იმიტომ არა, რომ კორუფცია უარვყავით, თუმცა ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, გამოცდების ეს ფორმა უფრო მეტად ავლენს აბიტურიენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, უნარს, თუმცა ყოველ სიახლეს სდევს გარკვეული ხარვეზები, რაც თანდათანა მოგვარდება.

შარშან ჩვენი კურსდამთავრებულიდან ეროვნული გამოცდები ჩააბარა 11-მა, ჩაერიცხა 9, ამათგან ორმა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.

წელს გამოცდებზე გავიდა 6 სკოლადამთავრებლი, ჩაერიცხა 5, გრანტი (70-პროცენტიანი) მოიპოვა ერთმა.

მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს სპორტული მოედანი, სპორტდარბაზი და არც სხვა პირობები, ჩვენი მოსწავლეები სპორუტლი მიღწევებით გამოირჩევიან. წინა სასწავლო წელს პირველი ადგილი და რაიონული გარდამავალი თასი არავის დავუთმეთ ფრენბურთში, ფეხბურთში. საპრიზო ადგილები გვაქვს სპორტის ყველა სახეობაში. სკოლამ გაიმარჯვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „გიორგი ნიკოლაძე“ და 5000 ლარი ჩამოგვერიცხება სპორტული მოედნის მოსაწყობად.

აქტიურად ვართ რა ჩართული განათლების რეფორმაში, 2003 წელს ერთ-ერთმა პირველებმა მოვიპოვეთ გრანტი (ცაგერის საშუალო და ჭალისთავის დაწყებით სკოლებთან ერთად).

2004-2005 წლებში ჩართული ვიყავით სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების ტრენინგ-პროგრამაში „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები“ უკვე გავიარეთ I-II ეტაპები.

სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა პროფესიონალებით, რომლებიც ეუფლებიან სიახლეებს. ჩვენს გვერდით და გამოცდილებით დგანან პენსიონერი მასწავლებლები.

ახალი სასწავლო წელი განახლებულ შენობაში ვიზეიმეთ. სკოლის რეაბილიტაცია ორგანიზაცია „სიფ“-მა დააფინანსა (90.000 ლარი) სამუშაოებში ტენდერში გამარჯვებულმა შპს სამშენებლო ფირმა „ამაღლებამ“ განახორციელა (სამუშაოთა მწარმოებელი კარლო (ტატო) კოპალიანი).

კეთილმოწყობილი სკოლა დიდი შენაძენია ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის.

4975 ლარი ჩამოგვერიცხა რაიონის გამგეობისა და განათლების განყოფილების ხელშეწყობით (განათლების ტრანსფერის ნარჩენი თანხა). ამ თანხით შევიძინეთ ახალი ინვენტარი, მოვაწყვეთ ინფორმატიკის კაბინეტი.

მაგრამ გვაქვს პრობლემები, გარემონტებულია მხოლოდ მეორე სართული, რაც კაბინეტური სწავლებისათვის საკმარისი არ არის. ამიტომ აუცილებელია პირველი სართულის გარემონტება, რაც მომავლის საზრუნავია. იმედით ველოდებით ვაუჩერული დაიფინანსების გაზრდას, რაც საშუალებას მოგვცემს ხელი შევუწყოთ მასწავლებლებს დახელოვნებასა და პროფესიულ დაოსტატებაში. მოსწავლე-მასწავლებელი, მშობელი: თითოეულ ჩვენგანზე ბევრია დამოკიდებული. როგორი იქნება ხვალინდელი სკოლა? ისეთი, როგორსაც თავად მოვინდომებთ“.

XXX

სასიამოვნო საუბარი გაგვიგრძელდა. კმაყოფილი ვემშვიდობები მასპინძლებს, ვეტოვებ სკოლას და მომაცილებს გარემო-ისეთი სუფთა, ლამაზი და უმანკო, როგორიც ამ კედლებში მოცქრიალე 139 ბავშვის სულია და გული.

გარემო, კომფორტი, პირობები-ეს ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ.

ნებისმიერი რეფორმა განათლების სისტემაში, ნებისმიერი მეტამორფოზა, ნებისმიერი გარდაქმნა განუხორციელებადია კარგი მასწავლებლის გარეშე. მასწავლებელი-ეს ის ცენტრალური ფიგურაა, რომლის მხრებზე გადადის მთლიანად ჩვენი შვილების განსწავლულობისა და ჩამოყალიბებისა ბედი. ქვედა ცაგერის სკოლის შემთხვევაში ამ მხრივ კარგადაა საქმე. სკოლას ხელმძღვანელობს ინტელექტუალური, დელიკატური ახალგაზრდა ნუნუ კოპალიანი, მას გვერდში უდგანან ამჟამად სასწავლო ნაწილის გამგე, წლების მანძილზე ამავე სკოლის დირექტორი დავით კოპალიანი, რომლის ერუდიცია და ავტორიტეტი ესოდენ სჭირდება სკოლას და მთელი პედაგოგიური კოლექტივი-ნიჭიერი, მობილური, ერთ მუშტად შეკრული გუნდი, რომლისთვისაც უპირველესი პრინციპებია: დისციპლინა, წესრიგი და... აკადემიური გაკვეთილი.

ზარი დაირეკა. ვგონებ, დღის ბოლო გაკვეთილის მაუწყებელი ზარი. ჩუმად! მასწავლებელი მოდის!-კიბეზე დამეწია ანცი ეოგო-ბიჭების ხმა და... თითქოს კედლებიც გაირინდნენ ახალი გაკვეთილის მოლოდინში.

მგელინარ ძნელაძე

ვეტსამსახური: მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს

საქართველოს სოფლის მერნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობისა, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური ტიტულის შესაბამისად ახორციელებს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას. აგრეთვე სურსათისა და ცხოველის საკვებს უვნებლობის, სანიტარულ ჰიგიენური, ვეტერინარული, მცენარეთა დაცვის და აგროქიმიური ღონისძიებების ზედამხედველობას, მონიტორინგსა და სახელმწიფო კონტროლს.

ამ სტატუსით ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის სამსახური ჩვენს რაიონში, რომლის არსებობა ბევრმა იქნებ არ იცის, სწორედ ამ მიზნით სტუმრად ვეწვიეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურის-ცაგერის სამმართველოს. გვსურდა გაგვეგო, როგორია კონკრეტულად სამსახურის სტრუქტურა, ფუნქციები და პრობლემები.

სამსახური, როგორც უფროსმა ბატონმა ვაჟა კოპალიანმა გვაუწყა დაკომპლექტებულია სამი საშტატო ერთეულით. სამივეს გავლილი აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას, ორგანიზებას უწევს სამსახურს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. თანამშრომლების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უფროსის ბრძანებით.

მათი დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გააჩნიათ საკუთარი დებულება, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით, ემბლემა და შტამპი.

სამსახურის ძირითადი ფუნქცია და ამოცანაა სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა. ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად ამ სამსახურის კომპეტენციაში შედის სასმელი წყლის უვნებლობისა და ხარისხის შესაბამისობაზე კონტროლის განხორციელება, თუმცა, როგორც ბატონა ვაჟამ გვითხრა ცაგერის სასმელ წყალზე კონტროლს ეს სამსახური არ ახორციელებს.

ცდილობენ აღკვეთონ ფალსიფიკაციის ფაქტები, აგრეთვე ახდენენ მოსახლეობის სისტემურ ინფორმირებას ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისათვის მავნებელი სურსათისა და ცხოველის საკვების მოხმარებისაგან დროებით თავის შეკავების შესახებ.

ატარებენ ცხოველების გადამდები და არაგადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვადაციო ღონისძიებებს. ვალდებულნი არიან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში თუ პროდუქცია მალფუჭებადია, ეს იქნება იმპორტირებული, გადამუშავებული, დამზადებული თუ სადისტრიბუციოდ გამზადებული სურსათი ბაზარზე არ განათავსონ, პროდუქციის მეპატრონეზე კანონით დადგენილი ზომები გაატარონ. ამის უფლებას მათ აძლევთ კანონი და ასეთი ოპერაციის დროს სამსახურმა ნებისმიერი პირის თხოვნის საფუძველზე უნდა წარადგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობა. მსგავსი ფაქტი ცაგერში ჯერ არ გამოვლენილა.

პრობლემად მიიჩნევენ იმას რომ ვერ ახერხებენ მიმდინარე სოფლების კონტროლს, ტრანსპორტისა და საწვავის უქონლობის გამო, ეს სამსახური ნელ-ნელა ყალიბდება და ხშირია მათ დებულებებში ცვლილებებისა და დანამატების შეტანა, რასაც სოფლის მეურნეობის მინისტრი ახორციელებს. მთავარი კი ისაა, როგორც ბატონმა ვაჟამ განაცხადა იგი მუდამ მზადაა ემსახუროს ხალხს, დაიცვას მათი ჯანმრთელობა, იზრუნოს მთ ჯანმრთელ კვებაზე, მიიღოს ყველა ის პირი ვინც დაინტერესდება ზემოთხსებულ საკითხებზე და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მათ.

ვუსურვოთ წარმატებები ხალხის სამსახურში.

ეკა ბენდელიანი

სამუსიკო სკოლა — პრობლემებით... და იმედით

ცაგერის სამუსიკო სკოლა რაიონის სინამდვილეში ერთ-ერთ ღირებულ სასწავლებელს წარმოადგენს. სულ ახლახანს სკოლა გამოეყო კულტურის განყოფილებას და მალე საჯარო იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება. სკოლის შენობა მძიმე, ავარიულ მდგომარეობაშია, პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე დაუფინანსებლობა. ჩვენ ვეწვიეთ სკოლის დირექტორს ქალბატონ **რუსუდან ყურაშვილს,** რომელიც სკოლის პრობლემებზე გვესაუბრა.

„ცაგერის სამუსიკო სკოლა დიდი ტრადიციების მატარებელი გახლავთ. გადაჭარბებით არ ვამბობ, მაგრამ ამის თქმის უფლებას მაძლევს, სწორედ, ამ სასწავლებლის ისტორია.

ცაგერის სამუსიკო სკოლა 1960 წელს გაიხსნა კულტურის დამსახურებული მუშაკის, ამჟამად ღირსების მედლისა და ორდენის მფლობელ, მექი ყურაშვილის უშუალო თაოსნობით. მას შემდეგ არა ერთხელ მოუპოვებია გამარჯვება ამ სკოლასთან არსებულ მომღერალთა გუნდს სხვადასხვა კონკურსში თუ რესპუბლიკურ დათვალიერებებში. ბავშვები ეუფლებოდნენ როგორც საფორტეპიანო, ისე სავიოლინო სპეციალობას. სამწუხაროდ, ეს წარსულში გახლდათ... სკოლის დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად არ არის სახარბიელო. დავიწყოთ იმით, მოსწავლეების შერჩევა ხდება კონკურსის სახით და შეზღუდულად. გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ათი ბავშვის მიღება შეგვიძლია. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია ბიუჯეტის სიმცირის გამო. არადა, მსურველთა რიცხვი კი ბევრია. ამჟამად 64 ბავშვი ეუფლება ჩვენთან სპეციალობას.

სკოლაში მუშაობენ და ბავშვებს ახელოვნებენ ნიჭიერი, გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგები, რომლებსაც ხელეწიფებათ მათი საქმე და პასუხიმგებლობით ეკიდებიან თითოეულ მოსწავლის შესაძლებლობას, რაც შეეხება სკოლის პრობლემებს. ამ საკითხში რომ იტყვიან მეტად „დახუნძლულნი" ვართ. სკოლის სახელფასო ფონდი რაღაც მიზეზის გამო საკმარისი არ აღმოგვაჩნდა და 2006 წლის ნოემბრის თვეში იწურება. რის გამოც, შესაძლებელია, პედაგოგები უხელფასოდ დარჩნენ. აქვე მინდა ვისარგებლო და ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სახელით თხოვნით მივმართო ჩვენს გამგებელს, ბატონ ვახტანგს გაითვალისწინოს მდგომარეობა და იქნებ გამოგვიყოს სათანადო თანხა.

უმთავრესი პრობლემა სკოლის შენობის ავარიული მდგომარეობა გახლავთ. წლების განმავლობაში ვითხოვ დახმარებას, რომ ელემენტარული სამუშაო პირობები შეგვექმნეს. ნამდვილად, სიცოცხლის ფასად გვიწევს, აქ, ამ შენობაში შემოსვლა და გაკვეთილის ჩატარება. რამდენიმე დღის წინ ჭერიდან ჩამოვარდნილმა ბათქაშმა კინაღამ იმსხვერპლა პედაგოგი. კედლები დაბზარულია, იატაკი დერეფანში აყრილია, ხოლო ოთახებში ლამის ჩამტვრევაზეა და რა წუთში მოხდება ეს არავინ იცის. ღვთის ძალა გვიფარავს, მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. როგორც ზემოთ აღვნიშნე არაერთხელ მივმართე გამგეობას თხოვნით, მაგრამ შედგა ხარჯთაღრიცხვა და არანაირი დახმარება არ იქნა გაწეული სკოლისთვის. მხოლოდ გასულ წლებში, როცა თამაზ ქარსელაძე გახლდათ გამგებელი დაგვეხმარა და მოხერხდა სახურავის შერემონტება, თუმცა ზოგიერთ ოთახში წყალი ისევ ჩამოდის. ამჯერად, დიდი იმედი გვაქვს ბატონ ვახტანგის, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი და დახმარება აღგვითქვა. ასევე მინდა მივმართო საკრებულოს თავმჯდომარეს ომარ ჭაბუკიანს, იქნებ მოხერხდეს და მომდევნო წლის ბიუჯეტში გამოიყოს თანხა შენობის რემონტისათვის.

მიუხედავად ამდენი პრობლემებისა აქ მომუშავე პედაგოგები მაქსიმალურად იხარჯებიან თითოეულ მოსწავლესთან. მათი ვალიც ხომ ესაა აზიარონ სულიერ ხელოვნებას.

ეკატერინე ყვირილიანი.

განცხადება

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო აცხადებს კონკურსს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად.

1. განცხადებები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს

—საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-16, მე-17 მუხლებს.

3. კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს

—წერილობითი განცხადება
—ავტობიოგრაფია
—განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მონმობის ქსერო ასლი
—პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსერო ასლი
—შრომის წიგნაკი
—ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან.
-სამედიცინო-ნარკოლოგიური შემონმების ცნობა
—სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

მის: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69. ტელ: 22-57 მობ; 899 24.18.70.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო

სიყვარულის ნათესი
(ნაწყვეტი პოემიდან)

–გადაღმიელი გადმოღმა მხარეს
იდუმალებით გადასცქეროდა,
შორს გაჰყურებდა გადაშლილ არეს
და პირს ღიმილი გადაჰფენოდა.
წარმტაც გარემოს ბუნებიშვილი
ეფერებოდა ტურფა, საფერი,
მთის ყვავილები–კონა დაშლილი,
ფეხქვეშ ეგება მისებ ნაფერი.
იმის თვალებზე ზეცა ბრწყინვალებს,
მის დაშლილ თმებზე კლდენისა ჩრდილი,
პირისნათელი უგავს მყინვარებს,
მთის წვერზედ იდგას თითქოს აჩრდილი.
ვაჟი მიიწევს მაღლა და მაღლა,
ქალმა როდესაც იგი იხილა–
სახე გაუკრთა, აენთო ნაღმად
და მთის ლოდებზე წაიფორხილა.
ვაჟი მიიჭრა, ქალს მიესალმა,
ბევრი ეცადა და დააწყნარა,
ნაზი მოპყრობა იოცა ქალმა
გულიდან დარდი გადაიყარა.
გულმა გული და თვალებმა თვალნი
ერთი შეხედვით ამოიკითხა.
არცერთი დარჩა თავისუფალი,
სპეტაკის ხილვით არ განიკითხა.
მორცხვად დაიწყეს მბობა სათქმელის,
ვაჟს ანცვიფრებდა ხიბლი ქალური,
სრულად გაუქრა ჩრდილის-ნაღველი,
აღარ ედება გულს დაფარული.

ვაჟი
–მე არა მარტოდ დავრჩი ალპურ კალთებზე,
მეტს განსაცდელად რაღას მოველი,
რას ვიფიქრებდი ამ წარმტაც მთებზე,
ჩვენ თუ შეგყვრიდა დღეს ღვთისმშობელი,
სიმშვენიერე ამა ყოვლისა,
სასოებადა არის შობილი,
ვითა ციალსა თეთრსა თოვლისა,
ვერ დასთესავდა ვერა მშობელი.
მინდა შენს თმებში სანამ ვიხილო
ყვავილთ სურნელი და–მათრობელი,
ქმნილი შენს ხატად გერქვას სახელი–
ბუნების ქალი ჩემგან წყობილი.

ქალი
ისე შეერწყმის აქა ყოველი,
როგორც მზის სპექტრში ერწყმის ფერები,
მნათი დაპნათის სივრცეს მპყრობელი,
ამ სილამაზეს მეც ვეფერები.
ანალოგიით წარმოისახე
ამ ბუნებაში საკრავით ხელში,
რომ არა ვიცი მე შენს შესახებ
და სიტყვა საველს ვარჩევ სახელში.

ვაჟი
ყოველთვის იყო ჩემი ოცნება
ამ სიწმინდეში მეხილა ქალი,
ვხედავ ამიხდა ეს საოცრება,
ჩვენს სიყვარულსა ფარავს უფალი.

ქალი
სიყვარულია თუ გატაცება:
ჩემს გულში ახლად აენთო ალი!

ვაჟი
მე შენთვის მინდა ეს ვაჟკაცობა,
გატაცებულთა რროა მკურნალი!

კვლავ გაიღიმა პირმშვენიერმა
ვაჟი საკოცნად გადაიხარა,
თითქოს უსმინა მათ სახიერმა
ციური სხივი გადმოიღვარა.
ბაგე შეეხო ბაგებს ნეტარად,
გრძნობა აღმძვრელი-ჟრჟოლას იწვევდა,
გულს იპარვადა გული ნეტავ რად?
ორნივ თამამად რა არ იწევდა?
ცრემლით დაშორდნენ ვნებისგან მთვრალი,
კიდევ შევხვდეთო მათ დადეს ფიცი,
გადაიკარგა ნანატრი ქალი,
მხოლოდღა დარჩა სიტყვა ნაფიცი.
მზე მთაში ჩაწვა, ცაზე ღრუბელსა,
ალებრ მოედო ფერი წითელი,
ყვავილით ნაფერ პატარა ველსა
აღარ ეღვრება მზისა ნათელი.

თსუ იურიდიული ფაკ.IV კ. სტუდენტი ლაშა ლიპარტელიანი

ლექსები: გამოქვეყნებულია ინტერნეტში www.literatura.ge.Saveli

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის მოთხოვნის კარნახით

უკვე მეორე წელია, რაც საქართველოში ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელმაც ცხადყო სკოლებში სწავლების მოძველებული სისტემის ცვლილებების აუცილებლობა. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მშობლიური ენისა და ლიტ-ის სწავლებას ენიჭება, რადგან ქართული ენა სწავლების ენაა, ყველა დანარჩენ საგანთა წვდომის საშუალებაა. სწორედ, მას ეფუძნება პიროვნების სულიერი განვითარების მთელი პროცესი. უნდა დაირღვეს ის სტერეოტიპები, რომლებიც „გარჩევებისა“ და დახასიათებების სახით ათწლეულების განმავლობაში მყარად იკიდებდა ფეხს მოსწავლეთა აზროვნებასა და გონებაში. აუცილებელია საპროგრამო მასალის არა მხოლოდ დაზეპირება, არამედ მისი გააზრება, შემოქმედებითი დამუშავება. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამგვარ მუშაობას მოსწავლე დაწყებითი კლასებიდან უნდა მიეჩვიოს.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტი ამოწმებს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა ცოდნას. აგრეთვე წერითი დავალების მუშვეობით დამოუკიდებელ აზროვნებისა და არგუმენტირების უნარს. ამისათვის მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ მოთხოვნებს:

კარგად შეისწავლოს თითოეული ნაწარმოების შინაარსი, გაიაზროს ავტორის სათქმელი, შეძლოს ერთი და იმავე აზრის სხვადასხვა ენობრივი ფორმით გადმოცემა, შეძლოს მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური დონის ნაწარმოებების (ნაწარმოებთა ნაწყვეტები) გააზრება და გაანალიზება, იმსჯელოს ნაწარმოების კონკრეტულ ეპიზოდებზე და მასზე დაყრდნობით მთელი ნაწარმოების თემასა და იდეაზე, ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოკიდებულება პერსონაჟების მიმართ და დაიცვას მართლწერის წესები, იმუშაოს ლექსიკის განვითარებაზე.

ამ მოთხოვნების დასაძლევად მასწავლებლებს დიდი გარჯა გვიწევს, რათა მოსწავლეთათვის საინტერსოდ იქცეს ცოდნის შეძენა და მისი გამოყენება.

X კლასში გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დროს („თამარ მეფის სახ. ბეთანიის ეკლესიაში“) მოსწავლეებს ასეთი ტესტური კითხვები და ტესტები მივეცი.

1. ყურადღებით წაიკითხე სტროფი:

„მიხარის–გიმზერ.
ვწუხვარ და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას“.

უპასუხე შემდეგ კითხვას: რატომ არ სურს პოეტს გამოფხიზლება?

2. გადმოეცი შენი სიტყვებით: „შავ დროთა ძალით ფერწახდენილი
და ვით განვლილსა სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა
ვიგონებ შენს დროს გული გვიმაგრის“,

3. ყურადღებით წაიკითხე სტროფი: „შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით,
სწავლისა შუქით განათებული“

უპასუხე შემდეგ კითხვებს. ა) რას სთხოვს პოეტი მეფე თამარს?

ბ) განმარტე, რას გულისხმობს სიტყვები: „და ჯვარით შენით აკურთხო კვალად“.

სტროფი: „ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?

იმსჯელე, რატომ გამოაქვს პოეტს პესიმისტური დასკვნა და, მწერლის აზრით, როგორია წუთისოფელი და სიკეთე?

ასეთნაირი მუშაობა ხელს მიწყობს თუ რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ კონკრეტული სტროფის შინაარსი, ჩასწვდა თუ არა მის სიღრმისეულ არსს, გაიაზრა თუ არა ცალკეული სიტყვისა თუ გამოთქმის მნიშვნელობა, შეუძლია თუ არა ადეკვატურად გადმოსცეს ლექსის აზრი და კონკრეტურად დასმულ კითხვაზე, კონკრეტული პასუხის გაცემა.

აგრეთვე მოსწავლეთა აზროვნების კონცენტრირებას ხელს უწყობს სწავლების პროცესში თვითონ მათ მიერ კითხვების დასმისა და შემდეგ მათზე პასუხის გაცემის ჩვევათა გააქტიურება.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“ ფილოსოფიური ნაწარმოებია. მწერლის ბიოგრაფიისა და პირადი წერილების გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ახერხებენ ამ ლექსის არსში წვდომას. მართალია, ლექსის ზეპირად დასწავლა აუცილებელია, მაგრამ ამასთან ერთად მათ მოეთხოვნებათ შინაარსის გააზრება. ისინი ზედმეტნაკლებად ახერხებენ კითხვების დასმას და სათანადო პასუხების გაცემას. მათ მიერ დასმულ კითხვებზე ამ ცოდნით შემოიფარგლა: 1. რატომ წავიდა პოეტი მტკვრის სანაპიროზე? 2. რატომ იყო ყოველივე მოწყენილი? 3. რა მხატვრული ხერხია „მოდუდუნე“? 4. როგორია პოეტის წარმოდგენით წუთისოფელი? 5. რა არის ადამიანის ძირითადი დანიშნულება?

მასწავლებლის ჩარევით ლექსის ანალიზი სულ სხვა სახეს მიიღებს. ამიტომ მოსწავლეებს ვაძლევ დავალებას უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. ცა მარადიულს აღნიშნავს, რა არის ლექსში წარმავლობის „დროების მოწამე“?
2. განმარტე სიტყვები: „საწყაული აღუვსებელი“.
3. რომელია ის ორი სიტყვა რომლებიც მეფეთა მოუსვენარ ყოფას გამოხატავს?
4. ნ. ბარათაშვილის მიხედვით, რა არის მეფეთა მოქმედების უმთავრესი მოტივი?
5. რატომ არის უაზრო ბრძოლა ახალ მიწების დასაპყრობად?
6. რა არის კეთილი მეფის საზრუნავი?
7. რას ადარებს ნ. ბარათაშვილი უმოქმედო პასიურ ადამიანს?
8. „როგორ გესმით „იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“?

საგნის სწავლების ხარისხს აძლიერებს კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა, მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონკურსებსა და ტურებში მონაწილეობის მიღება. ს. საღინაძისა და გ. კვირიკაშვილის მიერ გაგზავნილმა თემებმა: „იდიომები აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაშიაჩუკის“ მიხედვით და „სიტყვის კრიალოსანი“ მოწონება დაიმსახურა აღნიშნული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით. ასეთი გამარჯვება მოსწავლეს და მასწავლებელს მუშაობის სტიმულს გვაძლევს.

კარგია, როცა მოსწავლეს ეძლევა დამოუკიდებელი მსჯელობისა და აზროვნების გამოვლენის საშუალება ამგვარი მუშაობის სტილითა და მეთოდით, მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა მეუფლება. ვფიქრობ, რომ საპროგრამო მასალის ცოდნის მიღება მხოლოდ სკოლის კედლებში რჩება და მისაღები გამოცდებისათვის მზადებით ამოიწურება.

ელვარა ბურჯალიანი,
ცაგერის საჯარო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ყურადღება!

ამას წინათ ბაზარში წაველი–რაღაცეების საყიდლად, ბაზართან მიახლოებისას დავინახე, რომ წინ მიდიოდა კაცი, რომელიც ნამგალივით იყო მოხრილი და ჯოხის საშუალებით ძლივს მიდიოდა. შორიდანვე შევიცანი, მაგრამ არ დავრწმუნდი თუ არ იყო ვინც შევიცანი–მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნის გამო. დავეწიე და აღმოჩნდა კაცი, რომელიც ერთ დროს თავისი კაცურ-აცობითა და შრომითი შემართებით ნამდვილად გამოირჩეოდა.

მივესალმეთ და მოვიკითხეთ ერთმანეთი, უმალ მითხრა, რომ უკანასკნელ პერიოდში გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომ ძირითადად მიჯაჭვულია საწოლზე.

ძველი რაღაცეები რომ გავიხსენეთ, შევკადრე და ვუთხარი– რამ აიძულა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბაზარში წამოსულიყო რაღაცის შესასყიდლად.

მითხრა, რომ მეუღლე ჰყავს ცუდად და უნდა მაწონი შეისყიდოს მისთვის ბაზარზე.

მეწყინა და უმალ ვკითხე, კი მაგრამ შვილი, რძალი ან შვილიშვილები სად არიან, რომ თქვენ ასე შეწუხებულხართ, არაფერი არ მიპასუხა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

ის კაცობაც კი გამოამჟღავნა, რომ ოჯახის მიმართ უარყოფითი არ წამოსცდენია.

ამ კაცის შვილი, რომელსაც დიდ ვაჟკაცად მოაქვს თავი, ნუთუ არ ფიქრობს იმაზე რომ ერთდროს ისიც ასეთივე ასაკოვანი იქნება, შეიძლება ავადმყოფობამაც დარიის ხელი– როგორი იქნება მას ყურადღება არ მიაქციოს არც შვილმა, არც რძალმა და არც შვილიშვილმა.

ახალგაზრდებო, იცოდეთ, რომ მოხუცებულს, მით უმეტეს საკუთარს, ასე უდიერად არ უნდა მოექცეთ, იცოდეთ, რომ თქვენი შვილები ყოველდღიურად უყურებენ როგორ პატივს სცემთ მშობლიურ დედას და მამას–ალბათ სამაგიეროს უნდა ელოდეთ.

დაფიქრდით ახალგაზრდებო–თქვენც ხომ ერთ დროს ასეთ მდგომარეობაში–მოხუცები იქნებით, წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებით–თუ ახლობელმა თქვენზე ხელი ჩაიქნია.

კონსტანტინე ლურჯუმალიძე

ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან

უსაზღვრო კმაყოფილება

2005-2006 სასწავლო წელს დავამთავრე ტვიშის საჯარო სკოლის თერთმეტი კლასი. სწრაფად და ტკბილად გაიარა თერთმეტმა წელმა. მასწავლებლები საკუთარი შვილებივით გვზრდიდნენ. გვეფერებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში გვიწყრებოდნენ კიდეც, მაგრამ მე არ მახსოვს მათგან ერთი უხეში სიტყვაც კი. ყველა მასწავლებლის უაღრესად მადლობელი ვარ. შეუფასებელია მათი ამაგი ჩემი აღზრდის საქმეში.

როგორ შემიძლია დავივიწყო სკოლის დირექტორის ქალბატონ დარეჯარ ლაკვეხელიანის და ალგებრა-გეომეტრიის მასწავლებლის ქ-ნ. ლეილა ქათამაძის მიერ გაწეული შრომა და დახარჯული ენერგია. ისინი ყოველგვარი ანგარებისა და ანაზღაურების გარეშე მიტარებდნენ ყოველდღიურად დამატებით მეცადინეობებს საგამოცდო საგნებში. მათ ხომ ბევრჯერ სკოლის ეზოშიც მოვუძებნივარ და ისე შევუყვანივარ სამეცადინოდ კაბინეტში. მათი მადლია, რომ დღეს მე ვარ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი. ვეცდები კარგად ვისწავლო, გავხდე კარგი სპეციალისტი და ჩემი წვლილი შევიტანო თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი საქართველოს აღმშენებლობაში.

თქვენ კი ტვიშის საჯარო სკოლის პედაგოგებო და თქვენ, ჩემო ქუჩუნა ბებია, მინდა დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა გისურვოთ. კიდევ და კიდევ მრავალი სასახელო თაობები გაგეზარდოთ ჩვენ პატარა ტვიშის თემში.

ტვიშის სკოლადამთავრებული
ზიორზი კენჭაძე.

პირველად საქართველოში!

ყოველწლიური ფოლკლორული კონკურსი „ბანი“ იწვევს მსურველებს მონაწილეობის მისაღებად ნომინაციაში „საუკეთესო მომღერალი ოჯახი“.

დაგვიკავშირდით საქართველოს ყველა რეგიონიდან და გაითვალისწინეთ: ჟიური მხოლოდ თქვენი კუთხისათვის დამახასიათებელ ფოლკლორულ ნიმუშებს განიხილავს.

კონკურსში მონაწილე ფოლკლორული ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 8 კაცს. სქესი და ასაკი შეუზღუდავია. კონკურსში მონაწილე ოჯახებს შეუძლიათ შეასრულონ მათი კუთხისთვის დამახასიათებელი 4-5 ხალხური სიმღერა ნებისმიერ ქართულ ხალხურ საკრავთან ერთად ან მის გარეშე.

ჟიური საკონკურსოდ არ განიხილავს: კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, არაქართულ ხალხურ სიმღერებს თუ სხვა სახის საკრავებსა და მუსიკას, ქ. თბილისის ანსამბლებსა და ქალაქურ ფოლკლორს.

მომღერალი ოჯახების პირველადი შერჩევა მოხდება რაიონულ ცენტრებში, ფინალისტებისთვის კი თბილისში გალა-კონცერტი გაიმართება, სადაც თითოეული რეგიონიდან გამოვლინდება სამი გამარჯვებული ოჯახი—1, მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელები. სამივე ადგილზე გასული გამარჯვებულები მიიღებენ ფულად პრემიას და სპეციალურ პრიზებს.

„ბანის“ დამფუძნებლები არიან: ჯემარ ჭკუასელი, ანზორ ერქომაიშვილი, „თიბისი ბანკი“, ტელეკომპანია „იმედი“ და „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დარეკეთ 895 45 60 80 ან დაუკავშირდით „ბანის“ რეგიონალურ კოორდინატორებს:

1. კახეთი, საქართველოს მთიანეთი—899 75 61 62
2. ქართლი— 895 45 60 80
3. იმერეთი— 877 72 54 51
4. გურია— 899 15 26 08
5. სამეგრელო— 899 29 72 06
6. აჭარა— 899 94 45 01
7. რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი—899 15 28 13
8. ზემო სვანეთი —899 15 96 94
9. სამცხე-ჯავახეთი— 899 79 94 32

2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

№45 ცაგერის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული იყო **12481** ამომრჩეველი. არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნა **36** საუბნო საარჩევნო კომისია და **16** მაჟორიტარული ოლქი.

პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობა იყო **9047**. აქედან **№4 „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტია_შალვა ნათელაშვილმა“** მიიღო **638** ხმა, **№5** „ერთიანი ნაციონარული მობრაობა საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სიამ“ მიიღო _**8041** ხმა. **89** და **318** შესაბამისად იყო გაფუჭებული და ბათილად ცნობილი ბიულეტინების რაოდენობა. ყველას წინააღმდეგ ხმა მისცა **38** ამომრჩეველმა.

მიღებული ხმების შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 123-ე მუხლის მიხედვით არჩევნებში მონაწილე პარტიულ სიებს შორის მანდატები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1. **№4 „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტია_შალვა ნათელაშვილი“ _1 მანდატი: 2. №5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“_9 მანდატი.**

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებში **№45 ცაგერის** საარჩევნო ოლქში მონაწილე პარტიების მიერ მიღებულ მანდატების რაიონდენობის მიხედვით საკრებულოს წევრებად არჩეულნი არიან:

1. ომარ ჭაბუკიანი_ნაციონალური მოძრაობა.

2. გიორგი კვირიკაშვილი _ნაციონალური მოძრაობა.

3. მარინა ბურჯალიანი_ ნაციონალური მოძრაობა.

4. გია გვიშიანი_ ნაციონალური მოძრაობა.

5. მარინა სვანიძე_ ნაციონალური მოძრაობა.

6. გიორგი ლიპარტელიანი_ ნაციონალური მოძრაობა.

7. ზურაბ ხეცურიანი_ ნაციონალური მოძრაობა.

8. თამარ დავითულიანი_ ნაციონალური მოძრაობა.

9. თამაზ ქარსელაძე_ ნაციონალური მოძრაობა.

10. მაკა ბენდელიანი_ ლეიბორისტული მოძრაობა.

№01 ქ. ცაგერის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ბეჟან ღურჭუმალიძემ** მიიღო **259** ხმა; **№23 თამაზ ქარსელაძემ** მიიღო_**97** ხმა; **№24 ალუდა კვირიკაშვილმა** მიიღო_**215** ხმა; **№25 გიზო კალანდაძემ** მიიღო _**173** ხმა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 124-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე **№01 ქ. ცაგერის** მაჟორიტარულ ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ბეჟან ღურჭუმალიძე.**

№02 ალპანის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 თენგიზ ბურჯალიანმა** მიიღო _**493** ხმა; **№23 ელდარ ახვლედიანმა** მიიღო_**58** ხმა; **№24 გოგი ანთიძემ** მიიღო_**76** ხმა.

№02 ალპანის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია **თენგიზ ბურჯალიანი.**

№03 აღვის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ოლეგ მიქაძემ** მიიღო-**133** ხმა **№23 თამაზ ჭაბუკიანმა** მიიღო-**86** ხმა.

№03 აღვის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ოლეგ მიქაძე.**

№04 ზუბის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 მამუკა მამარდაშვილმა** მიიღო_**200** ხმა; **№23 ზაურ ბენიძემ**_მიიღო **26 ხმა;**

№24 შიო ომანაძემ მიიღო _**85 ხმა; №25 მამუკა კუხალაშვილმა** მიიღო **140 ხმა.**

№04 ზუბის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**მამუკა მამარდაშვილი.**

№05 ლაილაშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ბეჟან ჯინჭარაძემ** მიიღო **388** ხმა, **№23 გოგი გაჩეჩილაძემ** მიიღო_**101 ხმა.**

№05 ლაილაშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ბეჟან ჯინჭარაძე.**

№06 ლასურიაშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 როსტომ ბრეგვაძემ** მიიღო_**629** ხმა; **№23 სოზარ ჭაბუკიანმა** მიიღო_**190** ხმა.

№06 ლასურიაშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**როსტომ ბრეგვაძე.**

№07 ლუხვანოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№4 როლანდ მურცხვალაძემ** მიიღო_**44** ხმა; **№5 ავთანდილ კოპალიანმა** მიიღო _**132 ხმა; №23 ამირან საღინაძემ** მიიღო_**45** ხმა.

№07 ლუხვანოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ავთანდილ კოპალიანი.**

№08 ნაკურალეშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ბონდო ყურაშვილმა** მიიღო_**67** ხმა; **№23 გია ყურაშვილმა** მიიღო _**33** ხმა.

№08 ნაკურალეშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ბონდო ყურაშვილი.**

№09 ორბელის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ირაკლი ბურჯალიანმა** მიიღო_**320** ხმა; **№23 გოჩა გურგუჩიანმა** მიიღო_**420** ხმა; **№24 ოთარ კვენტაძემ** მიიღო_**98** ხმა; **№25 ლევან ბურჯალიანმა** მიიღო_**322** ხმა.

№09 ორბელის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**გოჩა გურგუჩიანი.**

№10 ოყურეშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ონისე უგრეხელიძემ** მიიღო_**420** ხმა; **№23 მამუკა მამარდაშვილმა** მიიღო_**39** ხმა.

№10 ოყურეშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ონისე უგრეხელიძე.**

№11 ტვიშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ვალერიან ასათიანმა** მიიღო_**194** ხმა; **№23 თამილა გაბიძაშვილმა** მიიღო_**233** ხმა.

№11 ტვიშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**თამილა გაბიძაშვილი.**

№12 უსახელოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 ნანული ცხვედიანმა** მიიღო_**46** ხმა; **№23ჟორა შეკიშვილმა** მიიღო_**40** ხმა. **№24 თამაზ თვარაძემ** მიიღო_**226** ხმა.

№12 უსახელოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**თამაზ თვარაძე.**

№13 ქვ. ცაგერის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 გრიგოლ ლეთოდიანმა** მიიღო_**309** ხმა; **№23 ბადრი გუგავამ** მიიღო_**53** ხმა; **№24 კარლო კოპალინმა** მიიღო_**438** ხმა;

№13 ქვ. ცაგერის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**კარლო კოპალიანი.**

№14 ღვირიშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან_**№5 ოლეგ გიორგობიანმა** მიიღო_**221** ხმა; **№23 როინ ირემაძემ** მიიღო_**31** ხმა; **№24 არჩილ ახვლედიანმა** მიიღო_**148** ხმა.

№14 ღვირიშის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ოლეგ გიორგობიანი.**

№15 წიფერჩის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№5 გია ჩარკვიანმა** მიიღო_**471** ხმა; **№23 გაგა ლარცულიანმა** მიიღო _**196** ხმა.

№15 წიფერჩის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**გია ჩარკვიანი.**

№16 ჩხუტელის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან **№4 ბადრი სილაგაძემ** მიიღო_**273** ხმა; **№5 გოგი გუგავამ** მიიღო_**224** ხმა; **№23 ბადრი კვირიკაშვილმა** მიიღო_**114** ხმა; **№24 გრიშა მეშველიანმა** მიიღო_**125** ხმა.

№16 ჩხუტელის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულია_**ბადრი სილაგაძე.**

№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისია

* * *

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს_საკრებულოს არჩევნებში №45 ცაგერის საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად არჩეულ პირთა სია.

1. ქ. ცაგერი_01. ბეჟან ღურჭუმალიძე._ნაც. მოძრაობა.
2. ალპანა_02 თენგიზ ბურჯალაინი_ ნაც. მოძრაობა.
3. აღვი_03. ოლეგ მიქაძე_ნაც. მოძრაობა.
4. ზუბი_04. მამუკა მამარდაშვილი_ ნაც. მოძრაობა.
5. ლაილაში_05. ბეჟან ჯინჭარაძე_ ნაც. მოძრაობა.
6. ლასურიაში_06. როსტომ ბრეგვაძე_ ნაც. მოძრაობა.
7. ლუხვანო_07. ავთანდილ კოპალიანი_ ნაც. მოძრაობა.
8. ნაკურალეში_08. ბონდო ყურაშვილი- ნაც. მოძრაობა.
9. ორბელი_09. გოჩა გურგუჩიანი_დამოუკიდებელი.
10. ოყურეში_10. ონისე უგრეხელიძე_ ნაც. მოძრაობა.
11. ტვიში_11. თამილა გაბიძაშვილი_დამოუკიდებელი.
12 უსახელო_12. თამაზ თვარაძე_დამოუკიდებელი
13. ქვ. ცაგერი_13 კარლო კოპალიანი_დამოუკიდებელი.
14. ღვირიში_14. ოლეგ გიორგობიანი_ ნაც. მოძრაობა.
15. წიფერჩი_15. გია ჩარკვიანი_ ნაც. მოძრაობა.
16. ჩხუტელი_16. ბადრი სილაგაძე_ლეიბ. პარტია.
17. ნაც. მოძრაობა._ომარ ჭაბუკიანი.
18. ნაც. მოძრაობა._გიორგი კვირიკაშვილი.
19. ნაც. მოძრაობა._მარინა ბურჯალიანი.
20. ნაც. მოძრაობა._გია გვიშიანი.
21. ნაც. მოძრაობა._მარინა სვანიძე.
22. ნაც. მოძრაობა._გიორგი ლიპარტელიანი.
23. ნაც. მოძრაობა._ზურაბ ხეცურიანი.
24. ნაც. მოძრაობა._თამარ დავითულიანი.
25. ნაც. მოძრაობა._თამაზ ქარსელაძე.
26. ლეიბ. პარტია_მაკა ბენდელიანი.

№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისია

ვარლო (ღუღუნა) მიქის ძე ჩაკვეტაძე



ორმოცი ტკივილიანი და ცრემლიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ღუღუნა! შენიანები ასე გეძახდით მოფერებით და ახლაც ამ სახელით გესიყვარულებით.

ღუღუ! ძალიან გვიმძიმს, რომ შენზე წარსულ დროში ვლაპარაკობთ.

სულით ლამაზი პიროვნება იყავ, უღალატო და დასაყრდენი, ახალგაზრდობაში კარგი მშენებელ-სპეციალისტი, კარგი სპორტსმენი, კარგი მეგობარი. გული სიყვარულით გქონდა სავსე და ყველგან სიკეთეს თესდი.

ბედის ირონია თუ იყო, საკუთარი ოჯახი რომ არ გყავდა. არადა, როგორი ოცნებებით დაგფოფინებდნენ თავს ერთადერთ ვაჟს მშობლები, დები, მათთვის ხომ საფიცარი და საღოცავი სანთელი იყავი და იქნები მარადის.

შენ ხომ საკუთარი დისშვილები გაზარდე შვილებივით, მათ შვილებსაც მოესწარ.

ყველაფერი გქონდა ამქვეყნად სიყვარული, სითბო, კეთილდღეობა, ზრუნვა, მაგრამ... ასეთი იყო ნება განგების...

ჩვენო ღუღუნა! აი, აქა ვართ შენიანები შენს საფლავთან ყვავილებით, სანთლებით და ალალი ცრემლით, რათა დაგილოცოთ მარადიული სასუფეველი, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

ბიძაშვილები და მამიდაშვილები

გოგუცა ჩაკვეტაძის გახსენება

წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ იმყოფები, წელიწადი მიითვალა შენმა ფერისცვალებამ და იმქვეყნად გადასახლების დღეებმა. ჯარგი მეუღლე, მეგობარი, მეზობელი, დედა და ბებია იყავი. სულგრძელი, განათლებული, თბილი, თავმდაბალი და ჯეთილისმსურველი ირგვლივმყოფთათვის.

ძნელია უშენობა, ყოველი ნივთი შენს თავს გვაგონებს. შენს საფლავსაც სათუთად ვუვლით და ლოცვებსაც აღვავლენთ, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს მამაზეციერმა.

ღმერთმა გახსენოს!

შენი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

„ხვამლი“ ლიდერობს

წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის გივი ნოდიას სახელობის იმერეთის რეგიონალურ ტურნირში 1994-1995 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის წარმატებით გამოდის ცაგერის „ხვამლის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი).

I წრეში

ჩვენმა გუნდმა ჩატარებული 6 შეხვედრიდან მოიგო—4 და ფრედ დაამთავრა 2 შეხვედრა და დააგროვა—14 ქულა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია.

ჩატარებული შეხვედრების შედეგები ასეთია

„ხვამლი“—ქუთაისი-2“ ——4:0

„ტორპედო“ ქუთაისი—„ხვამლი“ 1:1

„ხვამლი“——„მემორიალი“ ქუთაისი 1:0

„ალავერდი“ ზესტაფონი——„ხვამლი“ 0:0

„ხვამლი“ —„მერცხალი“ ვანი 3:0

„ბეკო“ სამტრედია—„ხვამლი“ 0:2

შეჯიბრება გრძელდება.

გ. სილაგაძე

(ჩვენი კორესპონდენტი)

სიბრძნის საგანძურიდან

- მხოლოდ მიტევება დაგვეხმარება, რომ ხელახლა დავიბადოთ
- ყველა სამკაულს ცრემლის ფასი აქვს.
- ადამიანები ეჭვიანები არიან და ყველაფრის გამტყუვნება იციან.
- გრძნობებს მამაკაცებიც ემონებიან.
- 80 წლის გოეთემ გოგონა შეიყვარა, მაგრამ ის გოეთე იყო.
- ბუნებას ზოგჯერ უყვარს ჩვენი ახალ-ახალი გამოცანებით გაოცება.
- შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ.
- იმისათვის, რომ იეჭვიანო, უნდა გიყვარდეს.
- მტრის გარეშე გმირმა რა უნდა აკეთოს.

ცაგერი ეკოლოგიურ ფოტოში

გვიან შემოდგომის ჟანგისფერი ბაღი,
ძველი რითმა, მუსიკა
სამასი ნლის ბახის...

გირჩევთ!

ამ რამდენიმე წლის წინათ ქალაქის ცენტრში რამდენიმე სავაჭრო ობიექტი იყო. იყიდებოდა მხოლოდ საბჭოთა წარმოების საქონელი, თუმც დიდი მოთხოვნა იყო საზღვარგარეთულ საქონელზე, აღსანიშნავია რომ იმ პერიოდში ხალხში მსყიდველობითი შესაძლებლობა მეტი იყო—ვიდრე დღეს, დღეს მრავალფეროვანი საქონელია—მყიდველი ნაკლებად არის.

დღეს ქალაქის ცენტრში მრავლად არის წარმოდგენილი სავაჭრო მაღაზიები, ფარდულები თუ ჯიხურები. მრავლად არის წარმოდგენილი გასასყიდათ უცხოური წარმოების სამრეწველო და სასურსათო საქონელი და ვაჭრობა დონეც არც თუ ისე დაბალია.

კარგია მრავალფეროვანი საქონელი. მით უმეტეს თუ ამის შესყიდვის საშუალება გვაქვს—ამავე დროს საჭიროა რომ ვაჭარმა გაითვალისწინოს ის, რომ ვაჭრობის გაფართოების საშუალებას ვაჭრობის კულტურის ამაღლება მისცემს.

ჩემი ამ წერილის მიზანი ის არის, რომ მივცე რჩევა ვაჭრობის მუშაკებს—მიზნის მისაღწევად მთავარია არა მარტო საქონელი, მთავარია გამოავლინოთ კლიენტისადმი პატივისცემა და კულტურა.

როცა შენს ობიექტში მომხმარებელი შემოდის კეთილი ინებე და აღექი იმ სკამიდან, დროებით შეწყვიტე საუბარი თქვენთან მყოფ დაქალთან თუ ნათესავთან.

მაშინ გაგახსენდება მობილურით 10-15 წუთით საუბარი.

ნუ შეეცდები უხარისხო პროდუქცია შეაგყუო მომხმარებელს, ნუ ეცდები ზომა-წონაში მოატყუო კლიენტის გაუგებარი არაფერია და შენგან ერთხელ მოტყუებული პირი შენთან მეორედ აღარ მოვა ამით მეტ ზარალს ნახავ.

სავაჭრო ობიექტებში უმეტესად სასურსათო პროდუქციაა, რაც განსაკუთრებულ სისუფთავეს მოითხოვს, ობიექტი მუდამ სუფთა უნდა იყვეს, ანტისანიტარია.

ვაჭრობის მუშაკებო, დამერწმუნეთ რომ თუ გსურთ მეტი შემოსავალი დანერგეთ ვაჭრობის კულტურა, ეცადეთ მომხმარებელი მიიზიდოთ არა მარტო მრავალფეროვანი საქონლით, არამედ თქვენი მაღალი კულტურით.

ამ სტრიქონების წამკითხველმა არ იფიქროს, რომ მე რომელიმე ვაჭრობის მუშაკზე ვიყო განაწყენებული—არა ასეთი არ ყოფილა. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ჩვენს რაიონში—ქალაქში ყველაფერი კარგად იყოს, ისე ვიმუშაოთ რომ დავიწყებას არ მივეცეთ როგორც დღეს არის. ჩვენი შრომითი შედეგით მივაღწიოთ იმას, რომ საღღაც ლეჩხუმი გაიხსენონ.

ალბათ ხშირად გსმენიათ ტელევიზიით რომ როცა საქართველოს კუთხეებს მოიხსენიებენ ამბობენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-სვანეთი, როცა ეს უკანასკნელი გამოთქვამდა არა რაჭა-სვანეთი, არამედ რაჭა-ლეჩხუმი.

გამოსავალი ერთია: დავნერგოთ მაღალი კულტურა. ყველა სფეროში, მიღწეული შედეგებით გავაგებიოთ ყველას—იქ ვინც არ უნდა იყოს, რომ ლეჩხუმი და მისი მშრომელები სხვებზე ნაკლებს არ აკეთებენ და არ გააკეთებენ ჩვენი პატარა ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

კონსტანტინე ღურჭუმალიძე

გილოცავთ!

ავთო ახვლედიანს და მაკა დაუშვილს

გილოცავთ ლამაზი ოჯახის შექმნას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ფუძის სიძლიერეა და ღვთის წყალობას. ამ სიყვარულით გევლოთ ცხოვრების ბოლომდე.

ლელა ახვლედიანს, გიორგი გუგავას

გილოცავთ შეუღლებას. ამ სიყვარულით გევლოთ ბოლომდე.

გიორგის თანაკლასელები

■ ■ ■

ლამარა დოლიძეს, კუკური გაბიანს

გილოცავთ გაგასა და ლიას ბედნიერებას. დაე, გაეგრძელებინოთ თქვენი ლამაზი ოჯახის ღირსეული ტრადიციები.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

■ ■ ■

მანანა, გენადი ძნელაძეებს

გილოცავთ მირანდას ბედნიერებას. ბედნიერება, სიხარული, გამრავლება ნუ მოკლებოდეს თქვენს ლამაზ ოჯახს.

ბუხუ შკუბულიანის ოჯახი

■ ■ ■

ნათია საღინაძეს! თემურ კალანდაძეს!

გილოცავთ შეუღლებას! გფარავდეს ღმერთი.

თემურის თანაკლასელები

■ ■ ■

ციცო, მურთაზ ჭელიძეებს

გილოცავთ მიშიკოს წარმატებას!

ვილგემ კოპალიანის ოჯახი

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობს მაქორიტარ დეპუტატს, ბატონ ავთანდილ სილაგაძეს დედის

ეთერ ახვლედიანი-სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ბატონ ავთანდილ სილაგაძეს დედის

ეთერ სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

ოთარ ჩიქოვანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს.

რედაქტორი **თამარ დავითულიანი**	პასუხისმგებელი მდივანი **მზევინარ ქნელაძე**	სარედაქციო კოლეგია: **ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი**	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარიას სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 23779, 23499